



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება

თბილისი



15/09/2020



MES 0 20 0000832172

**2020-2021 სასწავლო წელს ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე მოქმედი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ**

„საქართველოს მთავრობის, სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 6<sup>1</sup> მუხლის მე-4 პუნქტისა და 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ც“ ქვეპუნქტის, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N468 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, და „ლ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2020 წლის 14 სექტემბრის N827157 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. 2020-2021 სასწავლო წელს ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე მოქმედ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესი დაიწყოს და წარიმართოს დისტანციურ რეჟიმში 2020 წლის 01 ოქტომბრამდე, ხოლო პირველი ოქტომბრიდან სასწავლო პროცესი გაგრძელდეს არადისტანციურ რეჟიმში;
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.

საქართველოს განათლების, მეცნიერების,  
კულტურისა და სპორტის მინისტრი  
მიხეილ ჩხენკელი

